

ჰაინრიხ ფონ კლაისტი მარიონეტების თეატრი

1801 წლის ზამთარს ქალაქ მ...-ში ვატარებდი, როცა ერთ საღამოს, საზოგადოებრივ პარკში, შევხვდი ბატონ ც-ს, რომელიც ქალაქში ოპერის საუკეთესო მოცეკვავედ ითვლებოდა და პუბლიკაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

ვუთხარი, როგორ გამიკვირდა, როცა უკვე რამდენჯერმე დავინახე მარიონეტების თეატრში, ბაზრის მოედანზე, სადაც ხალხი მოკლე დრამატული ბურლესკებით, სიმღერითა და ცეკვით ერთობოდა.

მან მითხრა, რომ თოჭინების პანტომიმა დიდ სიამოვნებას ანიჭებდა და მარწმუნებდა, რომ მოცეკვავეს, რომელიც ცეკვის დახვეწას ცდილობს, პანტომიმებისგან ბევრი რამის სწავლა შეეძლო.

რადგან მისი სიტყვები, გამოხატვის ხასიათით, უბრალო ახირებაზე მეტი მეჩვენა, მასთან ერთად ჩამოვჯექი, რათა უფრო დაწვრილებით გამეგო, რას ეფუძნებოდა მისი ეს უცნაური თეორია.

მკითხა, ხომ არ შემენიშნა თოჭინების, განსაკუთრებით კი პატარების, საცეკვაო მოძრაობაში ერთგვარი გრაციოზულობა.

ვერ უარვყოფდი. ოთხი გლეხისგან შემდგარ ჯგუფს, რომელიც სწრაფი ტაქტით ფერხულს ცეკვავს, ტენირსიც ვერ დახატავდა უფრო ლამაზად.

ვკითხე ფიგურების მექანიზმზე, თუ როგორ უნდა მართო, ათასი ძაფის და თითის გარეშე, ცალკეული კიდურები და მათი წერტილები ზუსტად ისე, როგორც ამას რიტმი ან ცეკვა მოითხოვს.

მითხრა, ვცდებოდი, თუკი მეგონა, რომ მეთოჭინე ცეკვის სხვადასხვა მომენტში სათითაოდ ამოძრავებს ცალკეულ ნაწილებს.

ყოველ მოძრაობას, მითხრა მან, აქვს თავისი სიმძიმის წერტილი; საკმარისია, აამოძრავო ფიგურის შიგნით მყოფი ერთადერთი წერტილი, რომ კიდურები, რომლებიც ყველაზე მეტად ქანქარებს მოგვაგონებენ, ჩარევის გარეშე მიედევნებიან მას.

ასევე დასძინა, რომ ეს მოძრაობები ძალიან მარტივი იყო; როგორც კი სიმძიმის წერტილი სწორ ხაზზე გამოძრავდება, კიდურები უკვე მრუდების აღწერას იწყებენ; შოკისმომგვრელია, როცა ხშირად ეს უბრალო, შემთხვევითი ბიძგი ცეკვის მსგავს რიტმულ მოძრაობად გადაიქცევა.

თავიდან მომეჩვენა, რომ ამ დაკვირვებამ ნათელი მოჰფინა იმ სიამოვნებას, რომელსაც ის მარიონეტების თეატრში პოულობდა. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ვხვდებოდი, რა დასკვნებს გამოიტანდა შემდგომ.

ვკითხე, ხომ არ ფიქრობდა, რომ მემანქანე, რომელიც თოჯინებს მართავს, თვითონ უნდა იყოს მოცეკვავე, ან, სულ მცირე, გრძნობდეს იმ სილამაზეს, რომელიც ცეკვაშია.

მიპასუხა, რომ თუ რომელიმე საქმე თავისი მექანიკურობით მარტივია, ეს არ ნიშნავს, რომ მისი გრძნობის გარეშე შესრულებაა შესაძლებელი.

ხაზი, რომელიც სიმძიმის წერტილმა უნდა აღწეროს, მისი აზრით, ძალიან მარტივი და, ხშირ შემთხვევაში, სწორია. მაშინაც კი, როცა ხაზი მრუდეა, მისი სიმრუდეც მარტივია; ყველაზე რთულ შემთხვევაში - მხოლოდ ელიფსური; ასეთი მოძრაობა კი ადამიანის სხეულის დაბოლოებებისთვის (სახსრების გამო) სავსებით ბუნებრივია და ამიტომ მემანქანეს მისი აღბეჭდვა დიდ ხელოვნებად არ უჭდება.

მეორე მხრივ, რაღაც იდუმალი უნდა იყოს ამ ხაზში, რადგან ის სხვა არაფერი იქნებოდა, მოცეკვავის სულის გზის გარდა, რომელსაც ვერ გაიკვლევდი სხვაგვარად, თუ არა მემანქანის მიერ სიმძიმის წერტილის გადაადგილებით; ანუ, სხვა სიტყვებით, ცეკვით.

ვუპასუხე, რომ მანამდე ამ საქმეს სულისგან დაცლილ რამედ მივიჩნევდი, როგორცაა, მაგალითად, ლირის პედლის გადატრიალება.

- არავითარ შემთხვევაში, მიპასუხა მან. თითების მოძრაობებსა და მათზე მიმაგრებული თოჯინების მოძრაობებს შორის საკმაოდ დიდი კავშირია, როგორც, მაგალითად, - რიცხვებსა და მის ლოგარითმებს ან ასიმპტოტასა და ჰიპერბოლას შორის.

მაგრამ, ამასთან, სულის ეს უკანასკნელი ნატეხი მარიონეტებისგან სრულადაა აღმოფხვრილი, მათი ცეკვა მთლიანად მექანიკური ძალების სამეფოშია გადათამაშებული და ზემოხსენებული პედლის მეშვეობით წარმოიქმნება.

გამიკვირდა, როგორი სიზუსტითა და დაკვირვებულობით აფასებდა მასისთვის განკუთვნილ მშვენიერ ხელოვნების დარგს; მას უბრალოდ კი არ თვლიდა მაღალი განვითარების უნარიანად, როგორც ჩანს, თავადვე იყო ამით დაკავებული.

გაიღიმა და თქვა, რომ თუ მექანიკოსი მისივე მოთხოვნების შესაბამისად დაუმზადებს მარიონეტს, მისი საშუალებით ის წარმოადგენს ცეკვას, რომლის შესრულებას ვერც თვითონ და ვერც სხვა რომელიმე მოცეკვავე მის დროში, ვესტრისის ჩათვლით, ვერასდროს შეძლებდა.

თუ გსმენიათ, მკითხა მან, და მე უსიტყვოდ გადავიტანე მზერა მიწაზე: თუ გსმენიათ მექანიკურ ფეხებზე, ინგლისელმა ხელოვანმა რომ დაამზადა იმ უიღბლოებისთვის, რომლებმაც ბარძაყი დაკარგეს?

ვუთხარი, არ მსმენია-მეთქი: ასეთი რამე თვალითაც არ მენახა.

სამწუხაროა - მიპასუხა -, რადგან თუ ვიტყვოდი, რომ ეს უიღბლოები ამით ცეკვავენ, ვშიშობ, არ დამიჯერებდით.

- რას ამბობთ, ცეკვავენ?

- მართალია, მათი სამოძრაო სივრცე ძალიან ვიწროა, იმას, რის შესრულებასაც მოისურვებენ, ასრულებენ სიმშვიდით, სიმსუბუქითა და სიამოვნებით, რაც ნებისმიერ მოაზროვნე გონებას გაკვირვებამდე მიიყვანს.

ხუმრობით ვუთხარი, ესე იგი, თქვენი კაცი გიპოვიათ-მეთქი, რადგან ხელოვანი, რომელსაც ასეთი უცნაური ბარძაყის აგება შეუძლია, უეჭველად ააწყობდა მთლიან მარიონეტს, მისი მოთხოვნების შესაბამისად.

რაში მდგომარეობს, ვეკითხები, მან კი თვის მხრივ ოდნავ შებოჭილმა დახედა მიწას: რაში მდგომარეობს მოთხოვნები, რომლებსაც თქვენ ამ ოსტატს ნაუყენებდით?

არაფერ უჩვეულოში, - იმაში, რასაც მე ისედაც ვხედავ; სიმეტრია, მოქნილობა, სიმსუბუქე, მხოლოდ - ყველაფერი უმაღლეს ხარისხში; და განსაკუთრებით სიმძიმის წერტილების ბუნებრივ მოწყობაში.

- და უპირატესობა, რომელიც ამ თოჯინას ცოცხალ მოცეკვავესთან შედარებით ექნებოდა?

- უპირატესობა? თავდაპირველად ნეგატიური, ძვირფასო მეგობარო, სახელდობრ - ის, რომ ისინი არ არიან მანერულები, რადგან მანერულობა, როგორც იცით, მაშინ იწყება, როცა სული (vis motrix) არ მდებარეობს მოძრაობის სიმძიმის წერტილში. ხოლო როცა მემანქანე, სადენების და თოკების საშუალებით, მხოლოდ სიმძიმის წერტილზე მოქმედებს, სხვა დანარჩენი წევრები მკვდრები არიან, სუფთა ქანქარები, და მხოლოდ სიმძიმის ძალას ემორჩილებიან; ეს საუცხოო თვისებაა, რომელსაც ჩვენ მოცეკვავეთა უმრავლესობაში ვეძებთ.

შეხედეთ პ...ს, განაგრძო მან, როცა ის დაფნეს თამაშობს და უკან აპოლონისკენ, მისი მღვერისკენ, იხედება. მისი სული მდებარეობს ხერხემლის გადაკვეთაზე; ის იხრება, თითქოს ცოტაც და გადატყდებაო, როგორც ნაიადა ბერნინის სკოლიდან. შეხედეთ ახალგაზრდა ფ...ს, როცა ის, პარისის როლში, სამ ქალღმერთთან დგას და ვენერას ვაშლს აწვდის; მისი სული (თავზარდამცემია) იდაყვებშია.

ასეთი შეცდომები, დაამატა პაუზის შემდეგ, მას მერეა გარდაუვალი, რაც ჩვენ ხისგან ცოდნა ვიგემეთ. მაგრამ სამოთხე ჩაიკეტა და ქერუბიმები ჩვენ უკან არიან; მსოფლიოს გარშემო უნდა ვიმოგზაუროთ, იქნებ სადმე ვიპოვოთ ღიად დარჩენილი უკანა კარი.

გამეცინა. და მაინც - ვფიქრობდი -, სული ვერ იხეტიანებს, ვინაიდან ის არ არსებობს. თუმცა, რახან კიდევ უფრო შეგულიანდა, გაგრძელება ვთხოვე.

გარდა ამისა - თქვა -, ამ თოჯინების უპირატესობა მათ ანტიგრაფიტაციულობაშია. მათ მატერიის ინერციაზე, ცეკვისთვის ყველაზე გამოუსადეგარ ამ თვისებაზე, არაფერი იციან: რადგან ძალა, რომელიც მათ ჰაერში იტაცებს, უფრო დიდია, ვიდრე - ძალა, რომელიც მათ მიწაზე აჭაჭვავს. რას არ იზამდა ჩვენი კეთილი გ..., თექვსმეტი ფუნტით მსუბუქი ან იმ წონისა ყოფილიყო, ახტომების და პირუეტების შესრულებაში რომ დაეხმარებოდა. თოჯინებს, როგორც ელფებს, ძირი მარტო იმისთვის სჭირდებათ, რომ მას მხოლოდ შეეხონ და კიდურების ბიძგი მყისიერი

შეფერხებით გამოაცოცხლონ; ჩვენ კი ის გვჭირდება დასადგომად და ცეკვის ძალისხმევისგან დასასვენებლად: მხოლოდ ერთი წამია, რომელიც, ცხადია, ცეკვა არაა და ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ეს წამები კარგად შევნიღბოთ.

ვუთხარი, თავისი მარჯვედ ჩამოყალიბებული პარადოქსების მიუხედავად, მაინც ვერ დამარწმუნებდა იმაში, რომ ერთი მექანიკური კიდურკაცუნა შეიძლება მეტ გრაციოზულობას იტევდეს, ვიდრე ადამიანის სხეულის აგებულება.

მან მიპასუხა, რომ ადამიანები ამაში მარიონეტს, უდავოდ, ვერც კი შეედრებიან. მხოლოდ ღმერთს შეუძლია ამ სფეროში მატერიასთან მეტოქეობა. და სწორედ აქაა ის წერიტილი, რომელშიც ერთმანეთს ემთხვევა წრიული სამყაროს ორივე დაბოლოება.

კიდევ უფრო გამიკვირდა და არ ვიცოდი, რა მეპასუხა ასეთ უჩვეულო არგუმენტზე.

თამბაქო ამოიღო და მითხრა:

- როგორც ჩანს, მოსეს პირველი წიგნის მესამე თავი უყურადღებოდ წაგიკითხავს; და ვინც კაცობრიობის განვითარების პირველი პერიოდი არ იცის, ჭკვიანურად ვერ ისაუბრებს მის მომდევნოზე, და კიდევ უფრო გაუჭირდება - უკანასკნელ პერიოდზე.

ვუთხარი, რომ კარგად ვიცოდი, როგორ უნესრიგობას ქმნის შემეცნება ადამიანის ბუნებრივ გრაციაში. ჩემმა ნაცნობმა ახალგაზრდა კაცმა, ერთი შენიშვნის გამო, ლამის ჩემ თვალწინ დაკარგა უმანკოება და შემდეგ, მრავალი ცდის მიუხედავად, ველარ დაიბრუნა თავისი დაკარგული სამოთხე. მაგრამ ეს რაზე მეტყველებს?

მან მკითხა, რომელ შემთხვევას ვგულისხმობდი.

სამი წლის წინ ერთ ახალგაზრდა კაცთან ერთად ვბანაობდი, რომლის აღნაგობა მაშინ საოცარი მოხდენილობით გამოირჩეოდა. ალბათ, მეთექვსმეტე წელში იქნებოდა და ქალების სიმპათიისგან გამონვეული პათივმოყვარეობის კვალი სულ ოდნავ თუ შეტყობოდა. ცოტა ხნით ადრე ჩვენ პარიზში ვნახეთ ახალგაზრდა, რომელიც ფეხიდან ხიჭვს იღებს; ცნობილი ქანდაკებაა და მისი ასლი გერმანიის უმეტეს კოლექციებში შედის. ერთ მომენტში, როდესაც ბიჭმა სკამზე გასამშრალეზლად ჩამოლო ფეხი, მზერა დიდ სარკეს სტყორცნა და ქანდაკება მოაგონდა. გაიღიმა და თავისი აღმოჩენა გამანდო. სინამდვილეში, იმ წუთას მეც იგივე შევამჩნიე, მაგრამ, მისი გრაციოზულობის საზღვრები რომ გამომეცადა ან მის პათივმოყვარეობას მკურნალად რომ მოვვლენოდი, გავიცინე და ვუთხარი, გეჩვენება-მეთქი. ის განითლდა და ჩემ დასანახად კიდევ ერთხელ ასწია ფეხი. მაგრამ ცდა, როგორც მოსალოდნელი იყო, წარუმატებელი გამოდგა. თავგზააბნეულმა, მესამედ და მეოთხედ სცადა, ასე, ალბათ, კიდევ ათჯერ: ამაოდ. აღარ შეეძლო. მაგრამ რას ვამბობ? მისი მოძრაობები ისეთი კომიკური იყო, სიცილს ძლივს ვიკავებდი:

- ამ დღიდან, ზუსტად ამ მომენტიდან, ახალგაზრდა კაცში წარმოუდგენელი ცვლილებები დაიწყო. მთელ დღეებს სარკის წინ ატარებდა და ერთი-მეორის მიყოლებით კარგავდა მომხიბვლელობას. გამოჩნდა ფარული და ამოუცნობი ძალა, როგორც რკინის ქსელი, რათა წერტილი დაესვა თავისუფალი

თამაშისთვის. ერთი წლის მერე ბიჭის მშვენიერების, ასე რომ ართობდა გარშემომყოფთა თვალს, ყველანაირი კვალი გაქრა. ჯერ კიდევ ცოცხალია ადამიანი, რომელიც სიტყვასიტყვით დამიმონებდა ჩემ მიერ ნაამბობ ამ ამოუცნობ, უბედურ შემთხვევას.

– ასეთ შემთხვევაში, თქვა ბატონმა ც.-მ მეგობრულად, მე გაიმბობთ სხვა ამბავს, რომლსაც მარტივად დააკავშირებთ ჩვენს საუბართან.

რუსეთში მოგზაურობისას მოვხვდი ბატონი ფონ გ.-ს, ლივონიელი დიდგვაროვნის მამულში, რომლის შვილები იმ დროისთვის ინტენსიურად ვარჯიშობდნენ ფარიკაობაში. უფროსი, რომელიც ახალი დაბრუნებული იყო უნივერსიტეტიდან, განსაკუთრებული ვირტუოზობით გამოირჩეოდა და, როცა ერთ დილას მის ოთახში შევედი, მან რაპირა შემომთავაზა. ვიფარკავეთ; აღმოჩნდა, რომ უპირატესობა მქონდა; მის აღგზნებას დაბნეულობა დაემატა. თითქმის ყოველი ჩემი დარტყმა წარმატებული გამოდგა, საბოლოოდ კი მისი ხმალი ოთახის კუთხეში გაფრინდა. სანამ რაპირას იღებდა, ნახევრად ხუმრობით, ნახევრად წყენით მითხრა, რომ თავისი ოსტატი იპოვა. თუმცა, ყველაფერი ამ სამყაროში პოულობს თავის მჭობნს და ახლა ის ჩემსას მაპოვნინებდა. ძმებმა ხმამაღლა გაიცინეს და შეჰყვირეს: წავედით! წავედით! ფიცრულში ჩავიდეთ!

ამ შეძახილებით, ხელი ჩამკიდეს და ბატონი ც.-ს ეზოში გაზრდილ დათვთან მიმიყვანეს.

დათვი უკანა თათებზე იდგა, ძელს მიყრდნობოდა, რომელზეც მიბმულიყო. სანამ მე მას გაკვირვებული ვუახლოვდებოდი, დასარტყმელად აენია მარჯვენა ტორი და თვალეებში მიყურებდა: ეს მისი საბრძლო პოზიცია იყო. არ ვიცოდი, სიზმარში ვიყავი თუ ცხადში, ვხედავდი რა ასეთ მეტოქეს პირისპირ. შეუტიეთ! შეუტიეთ! თქვა ბატონმა ც.-მ, ეცადეთ, ერთი დარტყმა მაინც მიაყენოთ. როცა გაოცებამ ოდნავ გადამიარა, რაპირა მოვიქნიე; დათვმა ტორის ოდნავი მოძრაობით მოიგერია შეტევა. შევეცადე, ოინებით შემეცდინა. დათვი არც კი წაბორძიკებულა. კიდევ ერთხელ მოულოდნელი სიმარჯვით შევუტიე. ეს დარტყმა ადამიანის მკერდს აუცილებლად გააპობდა: დათვმა კი ესეც ტორის ოდნავი გამოძრავებით მოიგერია. ახლა თითქმის ახალგაზრდა ბატონი ფონ გ.-ს დღეში ვიყავი. დათვის შეუდრეკელობამ თავდაჭერა დამაკარგვინა. დარტყმები და ცრუ მოძრაობები ერთმანეთს ენაცვლებოდა, ოფლი მასხამდა. ყველა ცდა უშედეგო გამოდგა. იმის გარდა, რომ დათვმა, მსოფლიოს საუკეთესო მოფარკავებსავით, ჩემი ყველა დარტყმა მოიგერია, ის არც ცრუ მოძრაობებზე წ ა მ ო ე გ ო (ვერცერთი მოფარკავე ამას ვერ შეძლებდა). თვალი თვალში გამიყარა, თითქოს სურდა, ჩემი სული ამოეკითხა. იდგა, მალლა აეზიდა დასარტყამად გამზადებული ტორი და არ ტოკდებოდა.

გჯერათ ამ ამბის?

სრულიად! შევყვირე მხიარული ტაშით; ნებისმიერი უცნობისგანაც დავიჯერებდი და, მით უმეტეს, თქვენგან!

მაშინ, ჩემო შესანიშნავო მეგობარო, თქვა ბატონმა ც.-მ, თქვენ ყველაფერი გაქვთ საიმისოდ, რომ გამიგოთ. ჩვენ ვხედავთ: რაც უფრო ბნელი და სუსტია ანარეკლი ორგანულ სამყაროში, მით მეტად კაშკაშებს და ბატონობს მასში გრაციოზულობა.

მაგრამ, როგორც ორი ხაზის გადაკვეთის წერტილი გაივლის უსასრულობას და ერთი მხრიდან უეცრად მეორე მხარეს ჩნდება, ან როგორც გამოსახულება ჩაზნექილ სარკეში, მას მერე, რაც უსასრულობაში გაქრება, მოულოდნელად უკან გვიბრუნდება, ისე გვიბრუნებს უსასრულობაში დაკარგული ცნობიერებაც დაკარგულ გრაციას; -

ისე, რომ იმავდროულად ჩნდება სისუფთავე ადამიანური სხეულის აგებულებაში, რომელსაც ან არ გააჩნია ცნობიერება, ან უსასრულოდ აქვს ის, ე.ი. - მარიონეტში ან ღმერთში.

მაშინ, ვკითხე ოდნავ დაბნეულმა, გამოდის, რომ ისევ უნდა ვჭამოთ ცოდნის ხის ნაყოფი უმანკოების დასაბრუნებლად? უდავოდ, მიპასუხა მან, ეს მსოფლიოს ისტორიის ბოლო თავია.

გერმანულიდან თარგმნა მარია მუბლაძემ